შავი ზღვის სანაპიროზე

ლესელიძე. (ჩვენი სპეციალური კორესპოდენტისაგან). ლესელიძეში “დინამოს” საწვრთნელ ბაზაზე, ვარჯიშობენ თბილისის ”დინამოს” ოსტატი ფეხბურთელები. მათ უკვე ჩაატარეს რამდენიმე ორმხრივი საწვრთნელი შეხვედრა გუნდის ძირითად და სათადარიგო შემადგენლობას შორის.

11 მარტს დინამოელები ამხანაგურ მატჩში შეხვდნენ მოსკოვის “ლოკომოტივის” ოსტატებს. საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ფრედ – 1:1. თბილისელთაგან გოლი გაიტანა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გ. ანთაძემ. კარგად ითამაშა “დინამოს” დაცვამ – სარჯველაძე, გოგლიძე, ელოშვილი.

14 მარტი, 1954 წ.